

ლევან ზ. ურუშაძე

ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგი“-ს ისტორიისათვის

(მონოგრაფიული გამოკვლევა)

ექლვნება ორგანიზაციის შექმნიდან 85-ე წლისათვის

შესავალი

1924 წლის ნოემბერში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელთა თაოსნობით, პარიზში საფუძველი ჩაეყარა ახალ ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც თავდაპირველად უწოდეს „მომავალი“. მისი მიზანი გახლდათ საქართველოს ბოლშევიკური იმპერიის მარნუხებიდან დასახსნელად პატრიოტულად განწყობილი ქართული ახალგაზრდული ემიგრანტული ძალების კონსოლიდაცია.

ორგანიზაციის შექმნიდან მცირე ხნის შემდეგ მოხდა ძვრები, რომელთა წყალობით იგი იქცა არა მხოლოდ ახალგაზრდული ფრთის, არამედ მთლიანად, – ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საერთო ეროვნულ პოლიტიკურ გაერთიანებად. ყოველივე ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

1925 წლის ივნისიდან ორგანიზაციას ეწოდა მანამდე ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის მეტად უჩვეულო და ჰეროიკული სულისკვეთებით აღსავსე სახელწოდება: პატრიოტული დარაზმულობა „თეთრი გიორგი“. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობის თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ორგანიზაციამ სავსებით გაამართლა ეს სახელწოდება.

დარაზმულობა, მის დამფუძნებელთა განცხადებით, წარმოადგენდა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ ქართველთა ზეპარტიულ პოლიტიკურ გაერთიანებას. ორგანიზაციის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევისათვის საყურადღებოა დარაზმულობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის, ცნობილი ისტორიკოსის, დოქტორ ალექსანდრე მანველიშვილის შემდეგი განმარტება: „თუ მემარჯვენეობა იმას ნიშნავს, რომ იყო პატრიოტი, იცავდე საკუთარ მიწა-წყალს, ოჯახს, საკუთრებას, ეროვნულ ტრადიციებს და კულტურას, – ჩვენ მემარჯვენეები ვართ. თუ მემარცხენეობა იმას ნიშნავს, რომ დავიცვათ ერში სოციალური და ეკონომიური სამართლიანობა, რომ ერის ყველა ფენა სარგებლობდეს ერთნაირი უფლებებით და აღჭურვილი

იყოს ერის წინაშე ერთნაირი მოვალეობებით, – ჩვენ მემარცხენეები ვართ. ხოლო, თუ მემარჯვენეობას გავიგებთ, როგორც ამა თუ იმ კასტის ბატონობას ერის წიაღში, ან კაპიტალის მბრძანებლობას შრომასა და მშრომელი კლასებისადმი, მაშინ ჩვენ ვერ ვიქნებით მემარჯვენეები. თუ მემარცხენეობას გავიგებთ, როგორც მისწრაფებას სოციალური რევოლუციისადმი, ანარქიას, ნგრევას, ახალი კლასების გაბატონებას ოდესღაც ნაბატონებ ფენებზე, მოსკობას ეროვნულ ღირებულებათა, ოჯახის, საკუთრების და ადამიანების გადაქცევას მსოფლიო პროლეტარიატის განყენებული ინტერესების ტიკინად, – ჩვენ ვერ ვიქნებით მემარცხენეები.“

„თეთრი გიორგის“ მთელი ისტორია ნათელჰყოფს (და ამაზე ალექსანდრე მანველიშვილის ჩვენ მიერ მოხმობილი სიტყვებიც მეტყველებს), რომ იგი წარმოადგენდა ეროვნული იდეოლოგიის საფუძველზე შექმნილ მემარჯვენე პოლიტიკურ გაერთიანებას აშკარად გამოხატული ზეპარტიული ნიშნებით. ამასთან, მისი კარი არ იყო დახშული ეროვნულად განწყობილი სოციალ-დემოკრატებისთვისაც. მაგალითად, ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ მანამდე ცნობილი სოციალ-დემოკრატები ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი, დავით საღირაშვილი და სხვანი. ყოფილი სოციალ-დემოკრატები იყვნენ ორგანიზაციის თვალსაჩინო მოღვაწენი ვიქტორ და გიორგი ნოზაძეები, ისიღორე მანწკავა და ედუარდ (გიორგი) პაპავა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში „თეთრი გიორგი“ აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიაში მოქმედ „ქართულ სამოკავშირეო შტაბთან“ და „ქართულ ეროვნულ კომიტეტთან“, რომელთა ერთადერთი და უზენაესი მიზანი ასევე იყო საქართველოს გამოხსნა საბჭოთა იმპერიის მარწუხებიდან და 1921 წელს დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ მიზნის მისაღწევად ეს ორგანიზაციები იყენებდნენ მესამე რაიხის ვერმახტის სტრუქტურაში შექმნილ „ქართულ ლეგიონს“. აღსანიშნავია, რომ ლეგიონის ქართველ ოფიცერთა და ლეგიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი „თეთრი გიორგი“-ს რიგებში იყო გაერთიანებული. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ეს ორგანიზაციები და ლეგიონი ემსახურებოდნენ არა ნაციისტურ იდეოლოგიას, არამედ საქართველოს გათავისუფლების იდეალებს.

თამამად შეიძლება ითქვას: დარაზმულობა „თეთრი გიორგი“ გახლდათ ის ეროვნული პოლიტიკური გაერთიანება, რომელ-

მაც არსებობის თითქმის 30 წლის მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

ქართული ემიგრანტული პერიოდული გამოცემების („ორნატი“, „თეთრი გიორგი“, „მომავალი“, „ქართლოსი“, „საქართველო“, „ქართველი ერი“, „ბედი ქართლისა“) პუბლიკაციების და „თეთრი გიორგი“-ს გამოჩენილი მოღვაწეების (ლეო კერესელიძე, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, შალვა მალლაკელიძე, შალვა ბერიძე, კალისტრატე სალია, ალექსანდრე მანველიშვილი, გიორგი მაღალაშვილი, ვიქტორ ნოზაძე) მოღვაწეობის ამსახველი მასალების საფუძველზე წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია „თეთრი გიორგი“-ს ისტორიული ნარკვევი და ორგანიზაციის ისტორიის პერიოდიზაციის მცდელობა, დარაზმულობის უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კონსპირაციული ჯგუფების (1926-1943 წლები) საქმიანობა. შეძლებისდაგვარად არის წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული გმირის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის, გენერალ ლეო კერესელიძის, პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის, პროფესორ შალვა ბერიძის, პროფესორ ვიქტორ ნოზაძის, გენერალ შალვა მალლაკელიძის, პროფესორ კალისტრატე სალიას, დოქტორ ალექსანდრე მანველიშვილის და სხვათა როლი ორგანიზაციის განვითარების საქმეში, აგრეთვე, საკუთრივ „თეთრი გიორგი“-ს მნიშვნელოვანი და პოზიტიური როლი ემიგრაციაში ქართული ეროვნული პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის საქმეში. ჩვენ მიერ გამოყენებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საარქივო სამმართველოს ყოფილი „სუკ“-ის საარქივო ფონდის, ლევილის ქართული მამულის (საფრანგეთი) არქივისა და ბიბლიოთეკის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შალვა და გაიოზ მალლაკელიძეების არქივის, რამდენიმე კერძო არქივის მასალები. გულითად მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც დახმარება აღმოგვიჩინა ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საგანგებოდ დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევას საქართველოში. ნაშრომი წარმოადგენს პირველ ეტაპს „თეთრი გიორგი“-ს ისტორიის შესწავლისა. ჩვენი პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს დარაზმულობის ისტორიისადმი მიძღვნილი ვრცელი მონოგრაფიის შედგენა-გამოცემა.

I. „თეთრი გიორგი“-ს დაფუძნება და იდეოლოგიური საფუძვლები

1924 წლის აგვისტოს ეროვნული ამბოხების დამარცხების და სისხლიანი რეპრესიების შემდეგ აუცილებელი იყო ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი გზების მოძებნა. საკუთრივ საქართველოში დიდი ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელი იყო. ამიტომ იქმნება მცირერიცხოვანი მობილური არალეგალური ჯგუფები.

განსაკუთრებით გააქტიურდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. სწორედ ამ დროს საფრანგეთში დაფუძნდა საქართველოს ეროვნული გამირის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმი“. ამან დიდი ზიძგი მისცა პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული არასოციალისტური ფრთის გააქტიურებას.

1924 წლის სექტემბრის დამლევს პარიზში შეიკრიბა პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული ფრთის 5 წარმომადგენელი შალვა ბერიძის (შემდეგში ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორი) ინიციატივით. მათ დააფუძნეს „ქართველ პატრიოტთა ლიგა“. საბოლოოდ ორგანიზაციას უწოდეს ქართველი არასოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაცია „მომავალი“. შეადგინეს ათი მუხლისაგან შემდგარი დებულება, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენაზე და ისტორიული ტრადიციების განვითარებაზე იყო ორიენტირებული. დებულება გამობდა პარტიებს შორის შულღს. ამ დოკუმენტის დასკვნითი მე-10 მუხლი ასეთი გახლდათ: „მომავალი“ არის თავისუფალი, უწმინდესი შეფიცვა უტყუარის პატრიოტიზმით აღჭურვილი ქართველებისა და საქართველო სამლოცველო დიდებაა მისთვის“. აღსანიშნავია, რომ დებულების ფრანგული თარგმანი გამოქვეყნდა ერთ-ერთ ფრანგულ მემარჯვენე პერიოდულ გამოცემაში.

იმავე წლის 24 ოქტომბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები მიწვეულ იქნენ „მომავლის“ ერთ-ერთ სხდომაზე. კრებას დაესწრო შეფიცულთა ბელადი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო თავისი წინადადება ორგანიზაციისათვის ეწოდებინათ „თეთრი გიორგი“. ამდენად, პატრიოტული დარაზმულობის „თეთრი გიორგი“-ს ნათლია გახლდათ ქ. ჩოლოყაშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოგვიანებით შეფიცულნი გახდნენ ამ ორგანიზაციის წევრები. რაც შეეხება თავად ქაქუცას, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ოდინდელი კრედოსი — არ

ყოფილიყო არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, თუმცა, იგი ბოლომდე იყო „თეთრი გიორგი“-ს ხელშემწყობი და თანამდგომი, მისი სულიერი წინამძღოლი.

უკვე 1924 წლის I ნოემბერს ორგანიზაციაში შედიოდნენ: შალვა ბერიძე, კალისტრატე (კალე) სალია (შემდგომში სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი), ალექსანდრე გრიგოლია (შემდგომში ცნობილი პოლიტილოგი), ბ. ხუნწარია, მიხეილ კედიძე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის მეჭი კედიას ვაჟი, შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე), ნიკოლოზ დგებუაძე, ბ. მღებრიშვილი, ელისე პატარიძე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე) და დავით მხეიძე.

ორგანიზაციის პირველი საპროგრამო ხასიათის დოკუმენტი, როგორც აღვნიშნეთ, გახლდათ „10 მცნება“, რომელიც გამოქვეყნდა 1925 წლის იანვარში. მაშინ ორგანიზაციას ჯერ კიდევ „მომავალი“ ერქვა. დოკუმენტში ჩამოყალიბებული იყო ორგანიზაციის 10 უმთავრესი სამოქმედო პრინციპი. მასში ხაზგასმით იყო დაფიქსირებული დარაზმულობის ზეპარტიული ხასიათი. იმთავითვე ორგანიზაციის ლოზუნგი („ყიჟინა“) იყო: „საქართველო უწინარეს ყოვლისა!“ [1].

1925 წლის ნოემბერში, როდესაც ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა უკვე 40-ს აღწევდა, სპარსეთიდან პარიზში ჩავიდა ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი ლეო კერესელიძე, რომელიც მაშინვე მიიწვიეს „თეთრი გიორგი“-ს ერთ-ერთ სხდომაზე და აირჩიეს მის მთავარ მდივნად. მცირე ხნის შემდეგ ორგანიზაციას შეუერთდნენ გამოჩენილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, გენერალი ზაქარია (შაქრო) ბაქრაძე (აკადემიკოს დიმიტრი ბაქრაძის შვილი), ნიკოლოზ (კოკი) დადიანი, ვიქტორ ნოზაძე (ცნობილი რუსთველოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე), ირაკლი ოთხმეზური და სხვანი.

1925 წელს იქნა მიღებული „თეთრი გიორგი“-ს დეკლარაცია, რომლის ტექსტი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სრულად მოგვაქვს:

„1921 წ. თებერვალში, რუსეთი, რომელმაც ყველაზედ უწინ იცნო ქართველი ერის სუვერენობის აღდგენა და სამშვიდობო ხელშეკრულებაც დასდო მასთან, ურდო ჯარებით თავს დაესხა ახლად სახემწიფოებრიობა აღდგენილ საქართველოს. მიუხედავად გამირულ ტაბახმელა-კოჯორ-სოღანლულის თავდაცვითი

ბრძოლებისა, მტრის უამრავმა ფიზიკურმა ძალამ გადმოსტეხა საქართველოს საზღვარი და თავისუფლების მოტრფიალე ერს კვლავ რუსული მონობის უღელი დაადგა.

აღსრულდა!..

ერთხელ კიდეც გაშიშვლდა მსოფიოს წინაშე რუსული იმპერიალიზმი. ერთხელ კიდეც ნაკუნ ქალაქად აქცია რუსეთმა სუვერენულ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება.

ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა საშინელმა რუსულმა სტიქიამ მოიცო საქართველო და თავისი დაუნდობელი ტალღებით ერთი მეორეზედ ანადგურებს საქართველოს სუვერენობის ყოველგვარ ნასახს. „კომსომოლას“ მიუგდეს საგინებლად ერის სინდისი, ერის სარწმუნოება, „კომსომოლას“-ვე დაუმორჩილეს ფაქტიურად ეროვნული კულტურის კერა ქართული უნივერსიტეტი. რუსული მეთოდებით გაანადგურეს ერის სახალხო მეურნეობა. საქართველო კოლონიაა რუსეთის მრენველობისათვის; საქართველოში შემოყავთ ასობით და ათასობით ქართველი ერისადმი მტრულად განწყობილი უცხო ელემენტები და მათ ქართული ხაზინის ხარჯით ქართველი ერის მიწა-წყალზედ საშვილიშვილოდ ასახლებენ; რუსული ნაჯახით მოსჩეხეს ისედაც განახევრებულ საქართველოს მისი მიწა-წყლის მთელი მეოთხედი და მით იყიდეს ოსმალეთის მეგობრობა და ამიერ-კავკასიის ერთა შორის ის მოჩვენებითი მშვიდობიანობა, რომელიც თავის სიღრმეში ატარებს ისეთი შუღლისა და შურისძიების ელემენტებს, რომელიც არასდროს არსებულა ამ ერთა შორის. საქართველოს საკუთრებად ცნობილი ტერიტორიაც კი ხელოვნურად რამოდენიმე ავტონომიურ რესპუბლიკად დაანაწილეს.

ერთი სიტყვით, საქართველოში ყველა ბატონობს გარდა ქართველისა: საქართველოში ყველაფერი კეთდება გარდა ქართულისა; საქართველო ყველაფერია, გარდა საქართველოსა.

ქართველ ერს, რომლის ორიათას ნახევარი წლის ისტორია მხოლოდ ბრძოლაა თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის, არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ საშინელ მონობას. მან ბრძოლითვე უპასუხა დამპყრობელთ, ოთხი წელიწადია სწარმოებს ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ საქართველოში „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, ხოლო საზღვარ-გარეთ, შემოხიზნული მთავრობა. ბრძოლის ერთი ეტაპი დამთავრდა 5.000 ქართველის სისხლით.

ქართველი ერის მიერ აღებული ბრძოლის ხაზი სწორია, მაგრამ ხელმძღვანელთა სისუსტემ იგი დროებით დაამარცხა. ეს უკანასკნელი აჯანყება, რომელიც უმომენტობის გამო პოლი-

ტიკურ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, თავისდათავათ ერთ-ერთი ღირს შესანიშნავი მომენცია ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლისა და საქართველოს იდეის უაღრესი გამარჯვება.

ან აღარ არიან ურწმუნო თომანი, ყველამ იხამა, რომ საქართველო არ გასტყეს ფიცს წარსულის წინაშე, რომ იგი იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს თავისუფალი არსებობისათვის, ჭეშმარიტათ იგი აღსდგება! ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე, საქართველო უარს ვერ იტყვის სიცოცხლეზედ.

ბრძოლა ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების დაჭიმვით. ამ ბრძოლაში საბოლოოთ უნდა შეკავშირდეს მისი საიმედო ძალები.

ეროვნული ბრძოლის მაღალმა იდეამ უნდა მოსპოს პარტიული დაყოფა.

ეროვნული ბრძოლისათვის ნებაყოფლობით შეწირული ქართველი. აუცილებლათ უნდა განთავისუფლდეს პარტიული, კლასიური თუ პირადი ინტერესებისგან.

„საქართველო უწინარეს ყოვლისა“ ეს უნდა იყოს დღევანდელი ქართველის ხმა.

ეს აუცილებლობა ვერ შეიგნეს თანამედროე საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა, მათთვის ძნელი აღმოჩნდა პარტიული ხაზის გადალახვა, მათი პოლიტიკური ინტერესები ჯერ კიდევ მაღლა დგას ეროვნულ იდეაზე.

ეს დიადი მცნებანი — ახალგაზრდობამ უნდა შეიგნოს. ახალგაზრდობამ, რომელიც მუდამ ბრძოლის ცეცხლს ატარებს, რომელიც მუდამ ეძიებს, ვერ გაჰყვება ძველი თაობის პარტიულ გზებს.

ის, რაც ვერ შესძლეს ჩვენმა მამებმა, შვილებმა გავაკეთოთ. მომავალი წინ გვიძევს, იგი ჩვენია, შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ, შევექმნათ მებრძოლთა რიგები. პატრიოტული ახალგაზრდობა ამაყათ დასდგება ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე, რომელიც იტევს რამოდენიმე ათეულ საუკუნეთა ეროვნულ მებრძოლთა დიად სახელებს, რომლის განახლებული ქვაკუთხედია 5.000 საუკეთესო მამულიშვილთა უკანასკნელი ეროვნული საფლავი, რომელსაც თავს დასტრიალებს სამფერი დროშით საქართველოს გამარჯვების ემბლემა — თეთრი გიორგი.

აი, ის ფართო ეროვნული ასპარეზი, რომელზედაც იშვა საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“.

საქართველო რელიგიაა ჩვენთვის. სამშობლოსათვის თავგანწირვა საღვთო ვალია ჩვენთვის.

ქართველი ერი მარადიულია! — ეს განვლილ 27 საუკუნის ურყევი სიტყვაა. მის სადიდებლად მოვლენილი პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“-ც ამიერიდან მარადიულია.

ჩვენი მიზანია:

სუვერენული, მთლიანი ძლიერი საქართველო

1. ერის განთავისუფლება რუსეთის მონობისაგან.
2. საქართველოს მთლიანობის აღდგენა.
3. ბრძოლა რუსული ენის, აზროვნების და ყოველგვარი რუსულის ბატონობის წინააღმდეგ.
4. საქართველოს განმენდა მისდამი მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან.
5. საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემაღენლობის დაცვა მომავალში აჭრელებისაგან.
6. ეროვნული ქონებისა და სამეურნეო ასპარეზის დაცვა ქართველთათვის.
7. ქართული ენის ფიზიკური, სულიერი და გონებრივი გაჯანსაღება.

ქართული აზროვნების განთავისუფლება იმ მიუწვდემელ ფანტასტიკურ ოცნებათაგან, რომელნიც შლიან ეროვნული ძალების მთლიანობასა, თანამშრომლობას და ვერ ეგუებიან ნაციონალურ სახელმწიფოს იდეას.

აი, ის ქეშმარიტად დიადი იდეა, რომლისათვისაც თავს წირავს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“. იგი სულიერი მემკვიდრეა მათი, ვინც ათასი წლობით იცავდენ და ქმნიდენ საქართველოს ძლიერებას. ის დაუმკვიდრებს საქართველოს მის ისტორიულ ტრადიციებს, განამტკიცებს წესრიგს და შეადუღებს ერის ანწყო — მომავალს მის დიდებულ წარსულთან.

რისხვა მას, ვისაც არ უნდა შეიგნოს ეს უწმინდესი დიადი იდეა. ლახვარი მას, ვინც წინ აღუდგება ამ იდეას.

„თეთრი გიორგი“ არის თავისუფალი უწმინდესი შეფიცვა უტყუარის პატრიოტიზმით აღგზნებულ ქართველთა, წინაშე საქართველოისა და ეროვნული უწმინდესი საფლავისა, სადაც თავისუფლების იდეით შედუღებულნი 5.000 ყრმა ქართველნი სისხლითაც შედუღდენ.

„თეთრი გიორგი“ ნაზიარებია მათი იდეით
„თეთრი გიორგი“ მირონ-ცხებულია მათი სისხლით
„თეთრი გიორგი“ გაანთავისუფლებს ეროვნულ საფლავს.

იდიდე საქართველოვ!

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“-ს
დამფუძნებელთა კრება.

ახალგაზრდა ქართველო პატრიოტებო!

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“
მოუწოდებს ყველა ქართველ პატრიოტს, ყველას, ვინც თავს ახალ-
გაზრდათ გრძნობს განურჩევლად მისი ადგილ-ყოფისა, საქარ-
თველოშია თუ მის გარეთ; ყველა მათ, ვისაც სამშობლოს უბე-
დობა თავის უბედურებათ მიაჩნია, ერის კეთილდღეობა თავის
ბედნიერებათ; ყველა მათ, ვინც ეროვნულ იდეას მაღლა აყენებს
პარტიულ ინტერესებზე; მათ ვინც სამუდამოთ დაგმობს პირად
ანგარიშებს და სამშობლოს თავისუფლებას შეეწირება, –

შემოკრბეს საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა
„თეთრი გიორგი“-ს გარშემო. შევქმნათ ეროვნული ერთობა,
ერთი სხეული, შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ, რომ სამშობ-
ლოსთვის ბრძოლაში დადლილნი და უიმედონი გავამხნეოთ,
დაღუპულნი შევცვალოთ და ქართველ ერთან ამ სისხლიან
დღეებში ახალგაზრდული ბრძოლის ცეცხლი მივიტანოთ.

სიკვდილი ან თავიუსფალი საქართველო!

ჩვენ მოუწოდებთ ყველა ახალგაზრდა პატრიოტს, ვისაც სწამს
„თეთრი გიორგი“-ს გზა, იდეები, ვინც იზიარებს ჩვენი დეკლარ-
აციის პრინციპებს, ჩვენთან გაერთიანდით ერთად. დააარსეთ
ადგილობრივ ასეთი პატრიოტული კავშირები, დაგვიკავშირდით;
მიიღეთ ჩვენგან ცნობები რომ გააზროვნებული თანამშრომლო-
ბით ეროვნულ იდეას უკეთ ვემსახუროთ.

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“

პარიზი 15-VI-1925 წ.“ [2].

დეკლარაციაში ზედმიწევნით არის მოცემული ორგანიზაციის მრწამსი და მიზნები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „თეთრი გიორგი“-ს მთელი შემდგომი მოღვაწეობა იყო დასტური დეკლარაციის პრინციპების ერთგულებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ „თეთრი გიორგი“-ს როგორც ეს დეკლარაცია, ისე შემდგომი პერიოდის საპროგრამო ხასიათის დოკუმენტები შინაარსობრივად ძალზედ ახლოს დგას საქართველოს 1913-1917 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციების, – ე.წ. „თავისუფალი საქართველო“-ს ჯგუფისა და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს ანალოგიური ხასიათის დოკუმენტებთან. შემთხვევითი არ არის, რომ დაფუძნებიდან სულ მცირე ხნის შემდეგ „თეთრი გიორგი“-ს ხელმძღვანელები და მთავარი იდეოლოგები გახდნენ დასახელებული ჯგუფების ლიდერები ლეო კერესელიძე და მიხაკო წერეთელი.

დარაზმულობის იდეოლოგიური საფუძვლების გარკვევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროგრამო დოკუმენტი „ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის“. იგი დაამტკიცა დარაზმულობის მე-4 ყრილობამ 1936 წელს [3].

ყურადღებას იპყრობს ამ საყურადღებო დოკუმენტის თუნდაც ქვეთავების სათაურები: 1. „საქართველო უწინარეს ყოვლისა!“, 2. „თეთრი გიორგის დარაზმულობის უახლოესი მიზანია საქართველოს გათავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან“, 3. „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თეთრი გიორგი მხარს უჭერს და უკავშირდება ყველა იმ ძალას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული“, 4. „თეთრი გიორგის მიზანია: განთავისუფლებული საქართველო შეიქმნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ეროვნული ერთობის საფუძველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდეალებით“, 5. „ყველა ქართველი თანასწორ-უფლებიანი და თანასწორ-მოვალეობიანია“, 6. „ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასაზრდოებელი მიწაა: მიწა უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ მიწისმოქმედს“, 7. „ქართული მრენველობა უნდა განვითარდეს მისი შესაძლებლობის ფარგლებში და შრომასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით“, 8. „საქართველო არის სამეფო. ეროვნული მთავრობა დამყარებული დარბაზზე, ითანამშრომლებს მეფესთან. დარბაზი შედგენილია ეკონომიკურ და კულტურულ დარგთა წარმო-

მადგენელთაგან“; 9. „ეროვნული თავდაცვისთვის მოწყობილი უნდა იქნას ჯარი თანამედროვე დებულებათა მიხედვით და დადებულ იქნას სახელმწიფოებთან სათანადო კავშირი“; 10. „უნდა აღსდგეს ქართული კერა და დაცული იქნას ქართული მოდგმა“; 11. „აღდგენილ და დაცულ უნდა იქნას სარწმუნოება“; 12. „ეროვნული განათლებისა და საერთოდ, ქვეყნის კეთილმოწყობისათვის უნდა განხორციელდეს იქნას ყოველი ზომა კულტურისა და ცივილიზაციის უმაღლეს დონემდე ქართველი ერის ასაყვანად“; 13. „თეთრი გიორგის მიზანია: დიდი და დიადი საქართველო“; 14. „საქართველო და კავკასია ერთი მთლიანობაა და კავკასიის ერთა მჭიდრო კავშირი აუცილებლობაა“.

როგორც ვხედავთ, უკვე ქვესათაურებში (რომელთა უბრალო ჩამონათვალიც კი ერთგვარი ტრაქტატია) სავსებით ნათლად არის წარმოჩენილი დარაზმულობის უმთავრესი სამოქმედო პრიორიტეტები. ცხადია, რომ ორგანიზაციის იდეოლოგიური საფუძვლები მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ერის ისტორიულ ფესვებს და ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ორგანიზაციისთვის აბსოლუტურად უცხოა ყოველგვარი შოვინიზმი და ეროვნული კარჩაკეტილობა: დოკუმენტის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ დარაზმულობა „თეთრი გიორგი“ სათანადო პატივს მიაგებდა მოძმე ერებს და ქართული სახელმწიფოს აუცილებელ და მნიშვნელოვან მოვალეობად მიიჩნევდა მჭიდრო კავშირ-ურთიერთობებს მსოფლიო თანამეგობრობასთან. ორგანიზაციისთვის პრიორიტეტული გახლდათ ურთიერთობა კავკასიის მოძმე, ავტოქტონ ერებთან.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას, ასეთ ფორმად დარაზმულობის მესვეურთ მიაჩნდათ კონსტიტუციური მონარქია ძლიერი, სრულ პარიტეტზე დამყარებული პარლამენტით („დარბაზი“) და ასევე ძლიერი, ქმედითი აღმასრულებელი ხელისუფლებით.

აღბათ, მკითხველი დაინტერესდა, თუ რას ნიშნავს მე-13 ქვეთავში მითითებული „დიდი და დიადი საქართველო“. ამიტომ, მთლიანად მოვიტანთ ქვეთავის ტექსტს:

„ერი, რომელსაც გარკვეული მიზანი არა აქვს დასახული და არ მიისწრაფვის სიდიდესა და სიდიადისკენ, – მოკლებულია ეროვნულ დინამიკას, მოწყვეტილია ეროვნულ ძალას, დაჩაჩანაკებულია. ეს საერთოდ არის ასე და ქართველმა ერმა კი უნდა აღიდგინოს ის ისტორიული იდეალი, რომელიც მისი წარსული სიდიადის გამომხატველია. მაგრამ, ქართველ ერს ახლა აქვს თავისი საკუთარი ეროვნული მოთხოვნილებები, რომელ-

იც გამოიხატება რუსეთის მიერ გაჩუქებულ თუ წანართმევ მიწანყალთა დაბრუნების სურვილით. მოხდება ეს ახლო მომავალში, დიად მიზანთა ერთი უახლოესი მიღწეული იქნება, არა და საქართველოს მთლიანი აღდგენა უნდა იყოს ის მუდმივი წადილი და სწრაფვა, რომელიც აცოცხლებს ერს, ჰბერავს სულს, ინვესტს დაჭიმული მუშაობისაკენ, ბრძოლისაკენ...

საქართველოს სიდიადე უნდა გამოიხატოს აგრეთვე მისი ეროვნული კულტურის გაფურჩქვნა-აყვავებაში, მის სულიერ ძალთა უმაღლეს განვითარებაში;

საქართველომ კვლავ უნდა შვას შოთა რუსთაველი!“ [3].

რა თქმა უნდა, ბევრს მიაშიტ და ბავშვური გულუბრყვილობით დაღდასმულ იმედად მოეჩვენება ყოველივე ეს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი საყურადღებო მომენტები: 1. მაშინ, როდესაც ზემოხსენებული დოკუმენტი იქმნებოდა, ძალზედ ახალი და ღია გახლდათ ქართველთა ის მოუშუშებელი ჭრილობა, რომელიც გაგვიჩინა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი ძირძველი ტერიტორიების საქართველოსთვის ჩამოჭრამ და გაჩუქება-შეტკბილისკვერებამ; 2. სწორედ ამგვარი ტექსტი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო კომუნისტური იმპერიის მძიმე ჩექმის ქვეშ მოქცეული ქართველი ერის მებრძოლი სულისკვეთების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამდენად, სავსებით ცხადია, რომ ამგვარ პასაჟებს გააჩნდა სერიოზული იდეოლოგიური დატვირთვა.

მოგვიანებით, დარაზმულობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წევრი და იდეოლოგი, პროფესორი კალისტრატე სალია აღნიშნავდა, რომ „თეთრი გიორგი“-ს სახელწოდების მქონე ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის იდეა ჩაისახა ჯერ კიდევ 1922 წელს, მეტეხის ციხეში პატიმრობის დროს. საქართველოს გათავისუფლების ყინით გულანთებულმა პოლიტიკურმა პატიმრებმა შექმნეს „თეთრი გიორგი“-ს ბალადა:

„თეთრი გიორგი ქართველ ერს
მიუძღვის აბჯრის ჟღრიალით,
ჩვენც შევეურთდეთ მამაცებს
სამფერი დროშის ფრიალით.
ერთად წავიდეთ ბრძოლაში,
ჩავლენოთ ციხის კარები,
საქართველოდან აღვგავოთ
ცივ ჩრდილოეთის ჯარები.“ [4].

და ბოლოს, ვასრულებთ რა ნაშრომის ამ ქვეთავს, გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ერთ უმნიშვნელოვანეს (!!!) მომენტს. მეორე მსოფლიო ომის წლებში დარაზმულობა „თეთრი გიორგი“ მჭიდროდ თანამშრომლობდა მესამე რაიხში მოქმედ „ქართულ სამოკავშირეო შტაბთან“, „ქართულ ცენტრთან“ და „ქართულ ეროვნულ კომიტეტთან“. უფრო მეტიც, – მათი ხელმძღვანელები იყვნენ „თეთრი გიორგი“-ს ლიდერები პროფესორი მიხეილ (მიხაკო) ნერეთელი და დოქტორი გიორგი მაღალაშვილი (მაღალაოვი). ამ ორგანიზაციების და „თეთრი გიორგი“-ს მთელი საქმიანობა გვაძლევს სრულ საფუძველს შემდეგი მეტად პრინციპული ხასიათის დასკვნისათვის: ეს ორგანიზაციები ემსახურებოდნენ არა მესამე რაიხის ნაცისტურ იდეოლოგიას, არამედ ერთადერთ და უზენაეს მიზანს, – საქართველოს გამოხსნას ბოროტების საბჭოთა იმპერიის სულთამხუთავი მარნუხებისგან და 1921 წელს ბარბაროსული ძალმომრეობით დასამარებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას! სწორედ ამ სანუკვარი მიზნის მიღწევისათვის იყენებდნენ ისინი მესამე რაიხს და ვერმახტის სტრუქტურაში მოქმედ „ქართულ ლეგიონს“, რომელსაც სათავეში ედგა „თეთრი გიორგი“-ს თვალსაჩინო მოღვაწე, გენერალი შალვა მალლაკელიძე. აღნიშნული ლეგიონის ქართველი ოფიცრების და ლეგიონერების მნიშვნელოვანი ნაწილი დარაზმულობის წევრები იყვნენ. ანგარიშგასანევი და მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ზემოხსენებულ ორგანიზაციებთან და თეთრიგორგელებთან ურთიერთობა ჰქონდათ იმ გერმანელ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებს, რომელნიც არ იზიარებდნენ ჰიტლერის საგარეო პოლიტიკურ კურსს, კერძოდ მის დამოკიდებულებას საბჭოთა იმპერიის მიერ დამონებული ერებისადმი. ეს მოღვაწენი გახლდათ: საქართველოს დიდი მეგობარი გრაფი ფონ დერ შულენბურგი, ადმირალი კანარისი, გენერალი კოესტრინგი, გრაფი ფონ შტაუფენბერგი, გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი, კაპიტანი ობერლენდერი, პროფესორი გერჰარდ ფონ მენდე, ოტო ბრაუტინგამი და სხვანი [8, 13].

* * *

რაც შეეხება „თეთრი გიორგი“-ს ისტორიას, იგი შეიძლება დაიყოს 3 ძირითად პერიოდად: 1. 1920-იანი – 1930-იანი წლები; 2. 1940-იანი წლები; 3. 1950-იანი წლები. ცალკე უნდა აღინიშნოს ორგანიზაციის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კონ-

სპირაციული ჯგუფების (სულ არსებობდა ამგვარი 3 ჯგუფი) მოღვაწეობა 1926-1943 წლებში.

II. 1920-ანი – 1930-იანი წლები

1926-1930 წლებში პატრიოტულ დარაზმულობას „თეთრი გიორგი“ შეუერთდნენ: გიორგი კერესელიძე (ლეო კერესელიძის ძმა), ვლადიმერ (ლადო) ფხაკაძე, სიმონიკო ბერეჟიანი, გიორგი და ლევან ჯაყელები, ჯიბო ყანჩელი, ელენე დავრიშაშვილი, მარიამ კერესელიძე (ლეო კერესელიძის ასული), ოთარ წერეთელი (მიხაკო წერეთლის ვაჟი), ვასილ (ვასო) ციციქიშვილი, სიმონ ციციქიშვილი, სვიმონ ციციქიშვილი, ფრიდონ ნულუკიძე, დიმიტრი კლდიაშვილი, გიორგი (გოგი) ნოზაძე (ვიქტორ ნოზაძის ძმა), შალვა სოხაძე, შალვა მალლაკელიძე, ედუარდ (გიორგი) პაპავა, დავით საღირაშვილი, შოთა ბერეჟიანი, ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ელჩი გერმანიაში), ვლადიმერ ემუხვარი, ელიზბარ მაყაშვილი, შალვა ვარდიძე (შემდგომში ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი), იოსებ (სოსო) ირემაშვილი, კირილე ვეკუა (შემდგომში ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორი), აკაკი გამსახურდია, მიხეილ ახმეტელი (შემდგომში ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი), ალექსანდრე ნიკურაძე (პროფესორი, ცნობილი პოლიტოლოგი და ფიზიკოსი), გიორგი მაჩაბელი (გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, შემდგომში სახელგანთქმული პარფიუმერული ფირმის „პრინც მაჩაბელი“-ს დამფუძნებელი), ალექსანდრე მანველიშვილი (გამოჩენილი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე), ბეჟან და შალვა გიორგაძეები, ვიქტორ ინაშვილი, ზურაბ აბაშიძე, ტიტე მარგველაშვილი (ცნობილი მეცნიერი – რუსთველოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე), პავლე ინასარიძე, მერაბ კვიციანი, გიორგი ყალაბეგიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ნანალაშვილი, გიორგი მაღალაშვილი, მიხეილ თარაშვილი, ალექსანდრე ჯილაური, დიმიტრი ჭიბრაძე, ვანო გახოკიძე, შოთა ჭყონია, ივანე ფალიაშვილი, დიმიტრი მარჯანიშვილი, შიო ზაბახიძე, ივანე მაჩაბელი, ირაკლი და შალვა ზედგენიძეები, კონსტანტინე კობახიძე, დიმიტრი შალიკაშვილი და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სხვა აქტიური მოღვაწენი [1, 4, 7, 26].

ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი ორგანიზაციები მოღვაწეობდნენ: პოლონეთში, გერმანიაში, საკუთრივ საფრანგეთის ქალაქებში, სირიაში, თურქეთში, სამხრეთ აფრიკაში, იტალიაში, აშშ-ში.

„თეთრი გიორგი“ მჭიდროდ დაუკავშირდა პოლონეთში პოლონელი და ქართველი მოღვაწეების მიერ შექმნილ მძლავრ პოლიტიკურ, ანტიბოლშევიკურ მოძრაობას რომელიც „პრომეთეს“ სახელითაა ცნობილი. ეს განაპირობა ამ ორი ორგანიზაციის მრწამსისა და მიზნების სიახლოვემ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ორგანიზაციის ფრანგულენოვან ჟურნალს „პრომეთე“ რედაქტორობდა და ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გიორგი გვაზავა, რომელსაც უმჭიდროესი ურთიერთობა ჰქონდა დარაზმულობასთან. გარდა ამისა, დარაზმულობა აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალ-ფედერალისტთა პარტიებთან, რომელნიც გამოკვეთილ ეროვნულ პოზიციაზე იდგნენ.

თეთრი გიორგიელებთან თანამშრომლობდნენ, აგრეთვე, ეროვნული პოლიტიკური გამოცემები „კლდე“ და „მხედარი“.

1927-1928 წლებში გამოდიოდა დარაზმულობის გაზეთის „თეთრი გიორგი“-ს სამხედრო დამატება, რომელსაც რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი ალექსანდრე ერისთავი (ქსნის ერისთავთა ჩამომავალი).

1926 წელს პარიზში გამოსვლა იწყო დარაზმულობის გაზეთმა „თეთრი გიორგი“, რომლის სამი პარალელური ნომერი 1930 წელს გამოიცა ბერლინში ლეო კერესელიძე უმცროსის (ლეო კერესელიძე უფროსის ძმის შვილი) რედაქციით. გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ მიხაკო წერეთელი და ვიქტორ ნოზაძე. გაზეთი გამოდიოდა 1939 წლის ჩათვლით (გამოვიდა 106 ნომერი). გარდა ამისა, 1934-1935 წლებში ალ. მანველიშვილის ხელმძღვანელობით პარიზში გამოიცა ორგანიზაციის გაზეთის „მომავალი“ 14 ნომერი. 1937-1939 წლებში, პარიზში ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ქართლოსი“, ხოლო 1934-1935 წლებში მისივე რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ორნატი“.

როგორც პერიოდული გამოცემის, ისე საკუთრივ დარაზმულობის დასახმარებლად შექმნილი იყო ფონდი, რომელშიც მუდმივად ირიცხებოდა შემოსირულობები სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მიერ.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1920-1930-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა „თეთრი გიორგი“-ს ორი კონსპირაციული ჯგუფი. პირველმა, რომელიც 1926 წელს შეიქმნა 1920-1930-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის ეროვნული არმიის ყოფილი ოფიცრის ევგენ (გენო) ღვალაძის (1900-1937) თაოსნობით, იარსება 1937 წლის აგვისტომდე, როდესაც საბჭოთა უშიშროებამ დააპატიმრა ჯგუფის სრული შემადგენლობა. იმავე წლის დამლევს ე.წ. „შინსახკომი“-ს „დიდი სამეული“-ს დადგენილებით ისინი დახვრიტეს.

მეორე ჯგუფი შეიქმნა 1928 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ყოფილი პოლკოვნიკის ალექსანდრე ჭავჭავაძის თაოსნობით. სამწუხაროდ, ჯგუფმა იარსება მხოლოდ 1930 წლის სექტემბრამდე. 1930 წლის 3 ოქტომბერს ალ. ჭავჭავაძე და ჯგუფის სხვა წევრები „გაბუ“-ს დადგენილებით იქნენ დახვრეტილნი.

პირველ ჯგუფში ევგენ ღვალაძის გარდა შედიოდნენ: თსუ-ს პროფესორი ალექსანდრე წერეთელი (რომელიც სხვა ბრალდებით გადაასახლეს 1935 წელს), ტერენტი გრანელი (გამოჩენილი პოეტი, რომლის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა 1934 წელს), პროფესორი ვახტანგ კოტეტიშვილი, გ. ხახუტაშვილი (მწერალ ანა ხახუტაშვილის ძმა), გრიგოლ რობაქიძე (გამოჩენილი მწერალი, ემიგრირების შემდეგ, 1932 წლიდან თანამშრომლობდა უშუალოდ ცენტრთან), ცნობილი ექიმი ნიკო ჯანდიერი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე აკაკი ანდლულაძე, ვიქტორ ბროსე (ცნობილი ბიბლიოგრაფი, აკადემიკოს მარი ბროსეს შვილიშვილი) და გ. მათითაიშვილი.

ვერასგზით ვერ დავეთანხმებით რ. დაუშვილის მტკიცებას, თითქოს გრიგოლ რობაქიძე იყო „პარტიულობიდან შორს მდგომი პიროვნება“ [27]. დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს გარდა იგი გახლდათ ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის თაოსნობით 1942 წელს დაფუძნებული „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“-ს დამფუძნებელი წევრი [13].

ჯგუფის წევრებს სარფიდან შემოქონდათ „თეთრი გიორგი“-ს გამოცემები და ეწეოდნენ ფარულ სააგიტაციო საქმიანობას მოსახლეობაში. ოსმალეთში მათი მოკავშირე იყო იესე კეჭაყმაძე.

მეორე ჯგუფის წევრები ალ. ჭავჭავაძის გარდა იყვნენ: ოლა ჭავჭავაძე, გრიგოლ სუხომლინი, გეორგ კელერი, ზინაიდა რუდოლფი, ვლადიმერ ნულუკიძე, ზურაბ ჭავჭავაძე (აკადემიკოს ნიკო ჭავჭავაძის მამა და 1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ზურაბ ჭავჭავაძის ბაბუა), მიხეილ თუმანოვი და პავლე პაპავა. ეს ჯგუფი აქტიურად ემზადებოდა სამხედრო თვალსაზრისით.

ორივე ჯგუფს ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა ურთიერთთან. ჭავჭავაძის ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სიტყვა არ დასცდენიათ მეორე ჯგუფის შესახებ.

ამ ჯგუფების შესახებ მასალები დაცულია საქართველოს შსს საარქივო სამმართველოს ყოფ. „სუკ“-ის საარქივო ფონდში, ემიგრანტულ კერძო არქივებში, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის არქივში, ევგ. ლვალაძის პირად არქივში.

სამწუხაროდ, ვერც „თეთრი გიორგი“ აცდა პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის ესოდენ დამახასიათებელ შიდა უთანხმოებებს: 1936 წელს, ორგანიზაციის მე-4 ყრილობაზე, მოხდა განხეთქილება [5]. გენერალი ლეო კერესელიძე ჩამოაცილეს დარაზმულობის ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ, 1936-1937 წლებში, „თეთრი გიორგი“-ს მთავარი მდივანი იყო შალვა მაღლაკელიძე (ერთხანს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში, სამცხე-ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორი, 1941-1944 წლებში კი, როგორც აღვნიშნეთ, მესამე რაიხის „ვერმახტი“-ს „ქართული ლეგიონი“-ს მეთაური, 1944 წლიდან გერმანიის არმიის გენერალი).

ამის შემდეგ, პროფესორ მიხეილ წერეთლის და პროფესორ კალისტრატე სალიას კატეგორიული მოთხოვნით, დარაზმულობის მთავარ მდივნად კვლავ იქნა არჩეული გენერალი ლეო კერესელიძე, რომელიც ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ტრაგიკულ აღსასრულამდე (1944 წ.).

1937 წლიდან დარაზმულობას ეწოდა „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა „თეთრი გიორგი“. ამას ადასტურებს დარაზმულობის იმჟამინდელი ლიდერის შალვა მაღლაკელიძის 1937 წლის 30 იანვრის დადგენილება [6].

ამასთან დაკავშირებით კვლავ აღვნიშნავთ შემდეგს:

როგორც ზემოხსენებული სახელწოდება დარაზმულობისა, ისე მესამე რაიხის გერმანიაში არსებული ქართული ლეგიონის საქმიანობა არასგზით არ ემსახურებოდა გერმანული ან იტალიური ფაშიზმის ინტერესებს. უპირველესი და ერთადერთი მიზანი იყო ბოლშევიკურ-საბჭოური საოკუპაციო რეჟიმის მარნუხებიდან საქართველოს გამოხსნა და ქართული ეროვნული სუვერენული სახელმწიფოს აღდგენა. ამაზე ზედმიწევნით მეტყველებს დარაზმულობის 1937 წლის საპროგრამო ხასიათის მასალები [6], ალექსანდრე მანველიშვილის ხელნაწერი მოგონება [7] და სხვა მნიშვნელოვანი მასალები. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყურნალ „ქართლოსი“-ს აქტიური თანამშრომლები იყვნენ დიდი მამულიშვილები ექვთიმე თაყაიშვილი და გრიგოლ რობაქიძე (რომელიც ემიგრირების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა „თეთრი გიორგი“-ს საქმიანობაში).

III. 1940-იანი წლები [8 – 15]

1941 წლის ივნისში საბჭოთა იმპერიაზე გერმანიის თავდასხმამ იმედი ჩაუსახა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას იმისა, რომ ამ მომენტის გამოყენებით შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს დახსნა ბოლშევიკურ-საბჭოური იმპერიის მარნუხებიდან. მესამე რაიხი ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის და კერძოდ, „თეთრი გიორგი“-სთვის იყო მხოლოდ გზა, საშუალება ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

1941 წლის შემოდგომაზე მესამე რაიხის აღმოსავლურ საკითხთა სამინისტროს კავკასიის სამმართველოსთან (ხელმძღვანელი პროფ. გერჰარდ ფონ მენდე) შეიქმნა საქართველოს განყოფილება, რომლის დაფუძნების იდეა ეკუთვნოდათ ა. როზენბერგს, გრაფ ფონ დერ შულენბურგს, ალექსანდრე ნიკურაძეს და გიორგი მაღალაშვილს. განყოფილების უფროსად დაინიშნა გ. მაღალაშვილი (მაღალოვი), რომელიც იყო „თეთრი გიორგი“-ს თვალსაჩინო მოღვაწე. აქ მისი უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ასევე თეთრგიორგელები: ვლადიმერ (ლადო) ცხომელიძე, ტიტე მარგველაშვილი, ვალერიან (ვალიკო) ტოგონიძე, აკაკი გამსახურდია და სხვანი.

ამ დროისათვის დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს წევრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი. საგულისხმოა, რომ დარაზმულობის წევრთა შორის იყვნენ ევროპაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის ლიდერი, იმხანად იტალიის მმართველ წერეებთან დაახლოებული ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი (რომელიც ასრულებდა იტალიაში „საქართველოს ეროვნული კომიტეტი“-ს საგანგებო წარმომადგენლის მოვალეობას), გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე (1942 წლის შემოდგომაზე დანიშნული მესამე რაიხის „კავკასიის საგანგებო შტაბი“-ს ქართული განყოფილების ხელმძღვანელად), პოლკოვნიკი ფრიდონ ნულუკიძე (ტყვეთა ბანაკებში ქართველ სამხედრო ტყვეებთან მომუშავე „საპროპაგანდო ჯგუფის“ ხელმძღვანელი) და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სხვა ცნობილი წარმომადგენლები.

ქართველ სამხედრო ტყვეებთან მომუშავე 150-კაციანმა „საპროპაგანდო ჯგუფმა“ ფ. ნულუკიძის ხელმძღვანელობით ასობით ქართველი დაიხსნა საკონცენტრაციო ბანაკებიდან, რომელნიც ნაბყოფობით ეწერებდნენ „თეთრი გიორგი“-ს წევრებად.

იმავე ხანებში „ვერმახტი“-ს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა „ქართული ლეგიონი“, რომლის შექმნის ერთ-ერთი მოთავე იყო პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე, რომელმაც 1944 წელს მი-

ილო ვერმახტის გენერლის ხარისხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეგიონის ქართველ ოფიცერთა და ლეგიონერთა დიდი ნაწილი „თეთრი გიორგი“-ს წევრები იყვნენ.

1942 წლის მარტში მოხდა „ქართული ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფის“ და „თეთრი გიორგი“-ს გაერთიანება ერთ მძლავრ ორგანიზაციად, რომელსაც ეწოდა „ქართული ნაციონალ-სოციალისტური პარტია — „თეთრი გიორგი“. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, ხოლო მოადგილეებად — დოქტორი გიორგი მაღალაშვილი და გენერალი ლეო კერესელიძე. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხსენებული სტრუქტურის ჩამოყალიბება ნაკარნახევი იყო კონკრეტული პრაქტიკული საჭიროებებით და არა იდეოლოგიური მოსაზრებებით. სწორედ ამიტომ მიხეილ წერეთელი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ორგანიზაციის წესდებისა და პროგრამის ემიგრაციაში დამტკიცებისა, ვინაიდან მისი და ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელთა ღრმა რწმენით, წესდება და პროგრამა მიღებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ გათავისუფლებულ საქართველოში, ადგილობრივი სპეციფიკისა და პირობების ზედმიწევნითი გათვალისწინებით, რათა ორგანიზაცია, მისი სტრუქტურული წყობა და კონცეფცია მთლიანად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესებთან ყოფილიყო მისადაგებული. მანამდე, ორგანიზაციას ექნებოდა დროებითი დებულება.

1942 წლის აპრილში გრაფი ფონ დერ შულენბურგი (1918-1920 წლებში კაიზერული გერმანიის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, „საქართველოს დამოუკიდებლობის რუხ კარდინალად“ სახელდებული) გამოვიდა ინიციატივით, რომ ბერლინში, სასტუმრო „ადლონში“ ჩატარებულიყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეული დიასპორების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზეც შემუშავებოდა საბჭოთა იმპერიის მიერ დაყმევებულ ერთა მიმართ გერმანიის პოლიტიკური კონცეფცია. ყრილობაზე „თეთრი გიორგი“-დან მიწვეული იქნენ ორგანიზაციის ლიდერები მიხეილ წერეთელი, ლეო კერესელიძე და ალექსანდრე მანველიშვილი, აგრეთვე, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი, როგორც სამომავლოდ, საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარების შემთხვევაში, ტახტის პრეტენდენტი და მეორე პრეტენდენტი, ასევე „თეთრი გიორგი“-ს თვალსაჩინო მოღვაწე სვიმონ ციციშვილი [8, 13]. საბოლოოდ, ერთადერთ პრეტენდენტად დასახელებულ იქნა ირაკლი ბაგრატიონი. ციციშვილმა მის სასარგებლოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

იმავე ხანებში (1942 წ.) მიხეილ წერეთლის თავმჯდომარეობით ბერლინში დაფუძნდა „საქართველოს ეროვნული კომიტეტი“, რომლის მთავარ წარმმართველ ძალად იმთავითვე იქცა იმხანად ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველაზე ორგანიზებული და მრავალრიცხოვანი ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია, – დარაზმულობა „თეთრი გიორგი“. ეროვნული კომიტეტის დანიშნულებისა და მასზე დაკისრებული მისიის გარკვევისათვის საყურადღებოა 1943 წელს „კ. ბოგაშელი“-ს ფსევდონიმით კ. სალიას მიერ გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ქართულ საქმეს მფარველი და პატრონი გაუჩნდა. დაარსდა ეროვნული კომიტეტი, რომელიც უნდა გახდეს ცენტრად ქართული პოლიტიკისა და გაუჩნოს ხელმძღვანელობა ყოველ საქმიანობას, რომელიც ჩვენ ქვეყანას შეეხება. კომიტეტი უნდა იყოს უმაღლესი და ერთად ერთი წარმომადგენლობა ქართველი ერის ინტერესთა და მის მისწრაფებათა: მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნაყოფიერი და სასარგებლო ჩვენი მუშაობა. ხოლო, კომიტეტმა რომ შესძლოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება, ამისათვის საჭიროა ჩვენ ყველანი უყოყმანოდ და უდავოდ გვერდში ამოვუდგეთ მას.“ [11]. სამწუხაროდ, ამ დიად მიზნებს არ ეწერა აღსრულება...

ყველა ზემოხსენებულ ქმედებას აერთიანებდა ერთი უმთავრესი მიზანი, – საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა...

მეტად მნიშვნელოვანია ის ურთიერთობები, რომლებიც დარაზმულობას ჰქონდა საქართველოში 1941-1944 წწ. მოქმედ არალეგალურ, ანტისაბჭოთა ძალებთან. ასეთი ძალები გახლდათ „სამანი“ ადამ ბობლიაშვილის თაოსნობით, საკუთრივ „თეთრი გიორგი“-ს კონსპირაციული ჯგუფი (რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი მწერალი და მამულიშვილი ლევან გოთუა და განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ლევან აბდუშელიშვილი) და მოწინავე ქართველ ინტელიგენტთა არალეგალური ჯგუფი (რომლის მიზანი იყო ქართული ლეგიონის საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლა მოსახლეობაში). საგულისხმოა, რომ ამ არალეგალურ ჯგუფში შედიოდნენ ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლები: ნიკო მუსხელიშვილი, ნიკო კეცხოველი, სიმონ ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე, მიხეილ ზანდუკელი, ერეკლე ტატიშვილი და სხვანი. საბედნიეროდ, ჯგუფმა ბოლომდე შეძლო კონსპირაციულობის შენარჩუნება [16 – 18].

რაც შეეხება „თეთრი გიორგი“-ს რიგით მესამე კონსპირაციულ ჯგუფს, იგი 1942 წლის დამდეგს შეიქმნა ლევან აბდუშელიშვილის, ლევან გოთუას, შალვა სვანიძის და მუსტაფა შელიას (ლ. აბდუშელიშვილის დისშვილი) თაოსნობით. 1943 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დააპატიმრეს ჯგუფის სრული შემადგენლობა, მ. შელიას გარდა, რომელიც ტყვეს აფარებდა თავს. მცირე ხნით ადრე დააპატიმრეს ლ. გოთუა, რომელსაც 10 წლით გადასახლება მიესაჯა.

ჯგუფის წევრთა დახურული სასამართლო პროცესი გაიმართა 1944 წლის 7-12 აპრილს. სამს — ლ. აბდუშელიშვილს, შ. სვანიძეს და რომან სუტას დახვრეტა მიესაჯათ. მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბს — 25 წლით გადასახლება, გიორგი მაჭავარიანს — 20 წლით, ვახტანგ ჯორჯაძეს და არჩილ წულუკიძეს — 15 წლით, ამირან მორჩილაძეს, რევაზ ტყავაძეს, გიორგი წულუკიძეს და ვილჰელმ სელერს — 10 წლით გადასახლება. იმავე განაჩენით 10 წლით იქნა გადასახლებუყლი ჭ. ამირეჯიბის დედა — მარიამ ნაკაშიძე [19-20].

რაც შეეხება ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს მუსტაფა შელიას, იგი დაიღუპა შინსახკომელებთან შეტაკების დროს, 1943 წლის ნოემბრის დამდეგს.

კავკასიასთან დაკავშირებული გეგმების ჩაშლასთან ერთად, რა თქმა უნდა, წერტილი დაესვა „თეთრი გიორგი“-ს და, მთლიანად ქართული პოიტიკური ემიგრაციის იმედებს. თუმცა, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური სპექტრის მემარჯვენე ფრთა და, უპირველეს ყოვლისა, - „თეთრი გიორგი“ ბოლომდე არ ყრიდა ფარ-ხმალს. ამის ნათელი მაგალითია ფაქტი, რომ 1945 წლის აპრილში, ჩრდილოეთ იტალიაში ევაკუირებული ქართველი ლტოლვილების და ქართული პოლკის მებრძოლთა წინაშე ე. კომელიანსში გამოსვლისას, „ქართული ცენტრის“ თავმჯდომარემ, დოქტორმა გიორგი მალალაშვილმა ნაიკითხა გადაწყვეტილება მესამე რაიხის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის შესახებ, რასაც, ცხადია, მარტოოდენ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.

მანამდე, 1945 წლის მარტში ადგილი ჰქონდა კავკასიის გაერთიანებული განმათავისუფლებელი არმიის შექმნის მცდელობას, რასაც ადასტურებს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის სახელით გივი გაბლიანის 1945 წლის 26 მარტის მოხსენებითი ბარათი მესამე რაიხის ხელისუფლების სახელზე. მითითებულია აუცილებლობა იმისა, რომ „ყველა კავკასიელი სამხედრო ტყვე კონცენტრირებული იქნას ერთიან ბანაკში, სადაც ამისათვის გამო-

სადეგი ნაწილი იზრუნებს კავკასიის განმათავისუფლებელი არმიის სარეზერვო ფორმირებების შექმნისათვის. . .“

სამწუხაროდ, ამ თავგანწირულ მცდელობებს არ მოჰყოლია რაიმე ქმედითი შედეგი.

ომში გერმანიის დამარცხებამ და საბჭოთა იმპერიის გამარჯვებამ დეზორგანიზაცია გამოიწვია მთელი ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ძალებისა. საჭირო და გადაუდებელი ამოცანა იყო მათი ნორმალური მუშაობის აღდგენა.

ომის დასრულებისთანავე ბერლინში მყოფმა ქართულმა ეროვნულმა პოლიტიკურმა ძალებმა, მათ შორის „თეთრი გიორგი“-ს დარაზმულობამ, მიუნხენში გადაინაცვლეს. 1944 წელს გენერალ ლეო კერესელიძის დაღუპვამ და ომის დროს ორგანიზაციის შემადგენლობაში სერიოზულმა დანაკარგებმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ორგანიზაციას. მთავარი მდივნის მოვალეობას ასრულებდა მიხეილ წერეთელი.

„თეთრი გიორგი“-ს ნორმალური საქმიანობის აღდგენის მიზნით პარიზში მოიწვიეს კონფერენცია. კონფერენციაზე არ მიიწვიეს დარაზმულობის ის წარმომადგენლები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ საბჭოთა იმპერიის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, კერძოდ ვინმე თავაძესთან კავშირში. ასეთ პიროვნებათა შორის, სამწუხაროდ, იყო კალისტრატე სალიაც. ამაზე ხაზგასმით მიუთითებს ალ. მანველიშვილი „თეთრი გიორგი“-ს შესახებ თავის ხელნაწერ ნაშრომში. მიუხედავად ამისა, კონფერენციამ გაითვალისწინა რა კ. სალიას წარსული დიდი დამსახურება დარაზმულობის წინაშე, იგი დატოვა ორგანიზაციის წევრად.

ვინაიდან, ომის დასრულების შემდეგ დარაზმულობას არ გააჩნდა საკუთარი პერიოდული გამოცემა, 1948 წლიდან ორგანიზაციის გაუქმებამდე, „თეთრი გიორგი“-ს მასალებს ადგილს უთმობდა კ. სალიას და მისი მეუღლის ნინო ქურციკაშვილის მიერ დაარსებული ჟურნალი „ბედი ქართლისა“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ში გადასვლამდე, პარიზში ჯერ ჟურნალს „ერის დიდება“, შემდეგ კი ფრანგულეროვან გაზეთს „აქსიონ ჟეორჟიენ“ უშვებდა ცნობილი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, მრავალი წლის მანძილზე დარაზმულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე, დოქტორი ალექსანდრე მანველიშვილი. ამ გამოცემებში პერიოდულად ეთმობოდა ადგილი „თეთრი გიორგი“-ს მასალებს.

1949 წელს ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ძალების წარმომადგენელნი სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორის

ინიციატივით მიწვეულ იქნენ თათბირზე, რომლის მიზანი იყო ამ ძალთა გაერთიანება. საკითხის შესწავლისათვის შეიქმნა კომისია, რომელშიც „თეთრი გიორგი“-დან შეიყვანეს ალ. მანველიშვილი.

საბოლოოდ, სოციალ-დემოკრატიულ დესტრუქციული მოქმედების გამო, ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა ვერ მოხერხდა და ქართული ემიგრანტული პოლიტიკური სპექტრი კვლავ ორ ბანაკად გაიყო.

როგორც ალ. მანველიშვილი მიუთითებს, „თეთრი გიორგი“-ს რიგებში მაინც მოხერხდა გარკვეული უთანხმოებების დაძლევა და ორგანიზაციამ შეძლო ნორმალური ფუნქციონირების აღდგენა. იმავედროულად, იგი მიუთითებს, რომ მთლიანობაში, ემიგრანტულ პოლიტიკურ სპექტრში აღარ შეიმჩნეოდა ოდინდელი მძლავრი მაჯისცემა [7].

IV. 1950-იანი წლები

როგორც აღინიშნა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ „თეთრი გიორგი“-ს მთავარი მდივნის მოვალეობას ასრულებდა პროფესორი მიხეილ წერეთელი.

1950-იანი წლების პირველ ნახევარში ორგანიზაციის საქმიანობისათვის თვალის გადავინების საშუალებას გვაძლევს ჟურნალში „ბედი ქართლისა“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

1951 წლის მარტში გამოქვეყნებულ ორგანიზაციის სამდინვოს განცხადებაში ვკითხულობთ:

„ვითვალისწინებთ რა, დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობას და ქართველთა მოქმედების პირობებს უცხოეთში, გამოვსთქვამთ სურვილს, რომ საჭიროა მოხდეს ემიგრაციაში არსებულ ყველა ეროვნულ ძალთა გაერთიანება და შეთანხმებული მუშაობის წარმოება.

უნდა შეიქმნას ქართული პოლიტიკური ცენტრი პარიზში, სადაც იმყოფება საქართველოს ნაციონალური მთავრობა და პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელობა.

ამ ცენტრს უნდა დაუქვემდებაროს ყოველმა ქართველმა თავისი ეროვნული საქმიანობა.

თანახმად ჩვენი მოძრაობის მეთაურის პროფ. მიხეილ წერეთლის დირექტივებისა, თეთრი გიორგი მიიღებს მონაწილეობას მხოლოდ ისეთ გაერთიანებაში, რომლის ხასიათი და მიზანი არ ეწინააღმდეგება ზემოთქმულს“ [21].

ღრმა ეროვნული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი „თეთრი გიორგის“ განცხადება ანტიბოლშევიკურ ფრონტში მონაწილეობის შესახებ“, რომლის ავტორია კალისტრატე სალია. განცხადებაში დიდი გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ: „ქართული ემიგრაციის ცდა დღითგან მისი არსებობისა სრული მთლიანობის მისაღწევად დღემდე განუხორციელებელი დარჩა. ხელისშემშლელ მიზეზთა შორის ერთი უმთავრესთაგანი მსოფლიოს რამოდენიმე მოპირდაპირე იდეოლოგიურ ბანაკად დაყოფა იყო. იმედი და გზაც სხვადასხვა არსებობდა, რაიცა, ცხადია, ხელს არ უწყობდა ჩვენი გაერთიანების საქმეს. ფაშიზმის სიძულვილით გამოწვეულმა დემოკრატიულ-კომუნისტურმა კავშირმა ფაშიზმი დაამარცხა, ხოლო, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უცნაური კოალიციის რღვევა მისი გამარჯვების პირველი დღითგანვე დაიწყო და გუშინდელი მოკავშირენი დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილისათვის ემზადებიან. მესამე ძალის, ფაშიზმის ელიმინაციის შემდეგ, ჩვენთვის არჩევანის საკითხიც გამარტივდა. მსოფლიო არენაზე დარჩენენ მხოლოდ წითელი რუსეთი და დასავლეთის დემოკრატია ამერიკის ხელმძღვანელობით, რომელთა შორის შესაძლებელია ხვალ გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართოს. ასეთი საპასუხისმგებლო მომენტისათვის, რომლის მსგავსი შეიძლება არასოდეს არ დაგვდგომია, ჩვენ მზად არა ვართ. ნაცვლად იმისა, რომ შეერთებული ძალებით, მდგომარეობის ჯეროვანი აწონ-დაწონვით და მოფიქრებულად ერთად ვმოქმედებდეთ, ერთმანეთისადმი სიძულვილს დაუჩრდილავს უზენაესი ეროვნული მოვალეობა ჩვენი და ძვირფასს დროს უშინაარსო შინაურ დავაში ვხარჯავთ“ [22].

ამ მცირე ამონარიდში, რომელშიც შესანიშნავად არის წარმოდგენილი იმჟამინდელ მსოფლიოში და ქართულ ემიგრანტულ პოლიტიკურ სპექტრში არსებული მდგომარეობა, ზედმიწევნით ჩანს „თეთრი გიორგი“-ს თავგანწირული მცდელობა ქართული ეროვნული იდეისა და ინტერესების ირგვლივ ემიგრანტული პოლიტიკური ძალების გაერთიანებისა.

შემდეგ განცხადებაში ყურადღება გამახვილებულია იმხანად წარმოქმნილ მნიშვნელოვან საფრთხეზე, რომელიც ბევრ პრობლემას უქადდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას:

„ემიგრაციის წინაშე დღეს ერთი დიდი საკითხი დგას, რომლის არასწორ გადაჭრას შეიძლება ჩვენთვის საბედისწერო შედეგი მოყვეს. ეს არის ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციის მიერ განზრახულ ანტიბოლშევიკურ ფრონტში რუსეთის შეყვანა და მათთან ჩვენი თანამშრომლობა“. – აღიშნულია განცხადებაში.

შემდეგ მოტანილია ამ საჭირობორტო საკითხთან დაკავშირებით „თეთრი გიორგი“-ს საგანგებო განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ:

1. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ ცნობილი იურიდიულად მრავალ სახელმწიფოთა და თვით საბჭოთა რუსეთის მიერ, დაპყრობილ იქნა 1921წ. ვერაგულად თავდასხმით იმავე რუსეთისაგან, რომელმაც ამით მოსპო დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველო და ამასთანავე გაამეფა იქ წეს-წყობილება მონობისა და ტერორისა.

2. ქართველმა ერმა პირველი დღიდანვე მისი დაპყრობისა აღმართა დროშა ბრძოლისა როგორც პოლიტიკურ-ეროვნული, ისე სოციალური დამონების წინააღმდეგ და მრავალ წელთა ბრძოლაში სისხლით დაიცალა იგი, შესწირა რა საუკეთესო ნაწილი თვისი წმიდა საქმეს სახელმწიფოსა და თავისუფლების აღდგენისა.

3. უცხოეთში გადმოხვენილ თვის კანონიერ მთავრობას და პოლიტიკურ მებრძოლთ მან გამოგვატანა თან იგივე დროშა თვისი, რომელიც აქ უნდა გვეტარებინა განსაგრძობათ მისი ბრძოლისა ორი მიზნის მისახნევად: უკუ-გდებად რუსეთის ძალადობისა და აღდგენად საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და გაუქმებად ბოლშევიზმისა მისს მიწაზედ და თავისუფალი სოციალური წეს-წყობილების კვლავ დასამყარებლად.

4. უცხოეთში ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია იბრძოდა დღემდე ჩვენი კანონიერი მთავრობის მეთაურობით, რომელსაც ხელთ ეპყრა ქართველი ერისაგან მიცემული დროშა, ყველა იმ საშუალებით, რომელიც მოეპოვება სამშობლოს გარეთ მყოფთ სამშობოსათვის საბრძოლველად, და ყველა იმ ერთა პოლიტიკურ მებრძოლებთან ერთად, რომელთაც ეწვია ჩვენივე ბედი უცხო სახელმწიფოს მიერ დაპყრობისა და დამონებისა.

5. ხოლო დღეს დადგა საკითხი ჩვენი თანამშრომლობისა ემიგრანტ რუსთა პოლიტიკურ პარტიებთან, რომლის არა-სწორ განჭვრეტას შეუძლია სავსებით წაართვას აზრი მთელს ჩვენს აქამდე მოქმედებას ემიგრაციაში და გაუმართლებელ ჰყოს თვით არსებობა ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა.

6. არც ერთი იმპერია არ შეეღევა არც ერთს თვისს ნაწილს, თუ არა იძულებული თვით დაპყრობილ ერთა ბრძოლით, ომით ან სხვა გარემოებით, ყოველ იმპერიას თვისი „იმპერიალისტური“ მიზნები აქვს და ამ მიზნების მიღწევისათვის სჭირდება მას ყოველი კუთხე თვისი ტერიტორიისა. ამიტომ უფლებანი იმ

ერთა, რომელთა მიწები მოქცეულია მის საზღვრებში, ან სულ არ არიან ცნობილი მისგან, ან მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ უფლება მათი სახელმწიფოებრივი არსებობისა არასოდეს.

7. ანტიბოლშევიკური რუსული პოლიტიკური აზროვნება ამ მხრივ სრულიად არ განსხვავდება ბოლშევიკურისაგან, განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ბოლშევიკებს სურთ მათ მიერ შექმნილი ბოლშევიკური რუსული იმპერიის დაცვა და კიდევ გადიდება, ხოლო ანტიბოლშევიკურ – რუს იმპერიალისტებს იგივე იმპერია ბოლშევიკების მიერ განდიდებული, ხოლო უბოლშევიზმით.

8. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი კი არის რუსეთის მონობისაგან დახსნა საქართველოსი და აღდგენა მისი სახელმწიფოსი, აგრეთვე უბოლშევიზმით, მაგრამ ურუსოდ.

9. ჩვენ და რუსების ამ მიზანთა წინააღმდეგობის მოსპობა და შექმნა ჩვენი თანამშრომლობის საფუძვლისა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვექნება ერთი და იგივე მიზანი ბოლშევიზმის დამხობისა, ხოლო არც ერთ საკითხში, რომელიც საქართველოს სუვერენობის აღდგენას შეეხება, ჩვენ შორის დავა არ იქნება: ე.ი. თუ რუსები სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას მართლად, ცხადათ და საქვეყნოდ, აგრეთვე საბჭოთა რუსეთის საზღვრებში მოქცეულ სხვა ერთ უფლებას მათი პოლიტიკური ბედის გადანყვეტისა მათივე ნებით – მაშინ ჩვენთვის მისაღებია ყველა ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება და მოქმედება რუსებთან ერთად, ექნება რა თანასწორი უფლება ყველა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ერის წარმომადგენელს.

10. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს აქ მყოფი მთავრობის მიერ არ იქნება გადადგმული არც ერთი ნაბიჯი, რომელიც მის თვით – გაუქმებას მოასწავებს. მთავრობა მთავრობად უნდა დარჩეს, საქართველოს კანონიერ მთავრობად და მის მიერ რაიმე პრაქტიკული მოსაზრებით რუსების ისეთ წინადადებათა მიღება, რომელიც კანონიერებას ახდიან მას, ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის დროშის კანონიერ მპყრობელთა დაცემას ნიშნავს.

11. ვერც ერთს ორგანიზაციაში, ვერც უცხოსა და ვერც ქართულში, ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ, თუ იგი არ ხელმძღვანელობს მით, რაც ჩვენ მიერ ზემოთ არის აღნიშნული.

12. დასასრულ, მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ მებრძოლთ ჩვენი ემიგრაციისა საქართველოს დამოუკიდებლობის დროშის ირგვლივ შემოკრბენ ბრძოლის განსაგრძობად.

გვეპყრას მტკიცე ხელით ეს დროშა, შეუბღალავი და ჯერ არვის და არაფრის წინაშე დახრილი!“

„ბედი ქართლისა“-ს იგივე ნომერში გამოქვეყნებულია „თეთრი გიორგი“-ს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1952 წლის 30 იანვარს მოძრაობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა პროფ. მიხეილ წერეთელი, მოადგილეებად — კ. სალია და დ. კლდიაშვილი, მდივნად — აკ. გამსახურდია, წევრებად — აკ. გამსახურდია, შ. გიორგაძე, ა. გომართელი, მ. კერესელიძე, მ. კვიციანი, დ. კლდიაშვილი, გ. კობახიძე, ირ. ოთხმეზური, კ. სალია, შ. ჩუბინიძე და ვ. ცხომელიძე [23].

1952 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა წერილი „განმარტება“, რომელსაც ხელს აწერს „თეთრი გიორგი“-ს ხელმძღვანელობა. წერილი თარიღდება 1952 წლის 25 ოქტომბრით. მასში ვკითხულობთ:

„მებრძოლი საქართველო“-ს *№ 6) ბიულეტენში მოთავსებულია ქ.ე. ს. კომიტეტის შემდეგი განცხადება: „რაც შეეხება „თეთრი გიორგი“-ს საბჭოდან გასვლას, ჩვენთვის გაუგებარია ეს დემონსტრაცია; არც საერთოდ და არც განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა ეს მოხდა, მას არ ჰქონდა არავითარი გასამართლებელი მიზეზები“.

არ ვიცით, რისთვის დასჭირდა კომიტეტს ისეთი უცნაური და არა-მართალი ცნობის მოთავსება, როდესაც მან მშვენივრად იცის მიზეზები ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯისა, რომელიც მისთვის სრულებით მოულოდნელი არ იყო და მის ხელთ არის ჩვენი განცხადებაც, გაგზავნილი 5 ივლისის თარიღით კომიტეტიდან და საბჭოდან გამოსვლის შესახებ.

მთავარი უთანხმოების გამომწვევი ჩვენ და კომიტეტს შორის იყო თავიდანვე რუსებთან თანამშრომლობის საკითხი, რომლის შესახებ ჩვენი შეხედულება არა ერთხელ იყო განცხადებული საჯაროთ ჩვენ მიერ და პრესაშიც გამოქვეყნებული (იხ. „ბედი ქართლისა“ №№ II-12), ამიტომ მისი განმეორება აქ საჭიროთ არ მიგვაჩნია, ვიტყვით მხოლოდ: დღეს მაინც, ამდენი ცდების შემდეგ, ცხადი უნდა იყოს კომიტეტისათვის, რომ ერთი მეორის მოუტყუებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპის შეუღალავად შეუძლებელია თანამშრომლობა რუსებთან, რომელთა მთავარი მიზანია ამა თუ იმ ფორმით მთლიანი და განუყოფელი რუსეთის შენახვა. ამ იდეის დასაცავად ისინი გამაგებულ პროპაგანდას ეწევიან ყველგან და ცდილობენ დაარწმუნონ დაინტერესებული წრეები, რომ საბჭოთა კავშირში შემაგალი ერები მხოლოდ ბოლშევიკურ რეჟიმს ებრძვიან და არა

რუსეთის ბატონობას, რომ ამ ერთა საკითხი რუსეთის შინაური საქმეა, რომელსაც ის მოაგვარებს თვითონ რეჟიმის დამხობის შემდეგ და სხვ.

ჩვენ ამის საწინააღმდეგო ზომები უნდა მიგვეღო.

საჭირო იყო დარაზმვა მოსკოვის მიერ დაპყრობილი ერები-სა და შეერთებული ძალებით ჩვენი უფლებების დასაცავად ენ-ერგიული მოქმედება.

საჭირო იყო დაკავშირება და თანამშორმლობა უკვე არსე-ბულ, სატელიტებად წოდებულ სახელმწიფოთა ანტიბოლშე-ვიკურ ფრონტთან. ჩვენ ვიცით, რომ ამის შესაძლებლობა არსე-ბობდა.

საჭირო იყო ყველა საშუალებებით გამაგრება ამერიკულ კომიტეტში იმ მიმართულებისა, რომელიც დაჩაგრულ ერებს თანაუგრძნობდა.

ქართულ კომიტეტს ამ მიმართულებით უნდა ემუშავა.

იმედებიც იყო დადებითი შედეგების მიღწევისა.

სამწუხაროდ, მან სხვა გზა აირჩია, გზა, ჩვენი რწმენით მი-ულელებლი.

„თეთრი გიორგის“ წადილი იყო აგრეთვე სრული და ნამდვი-ლი საბჭოს შექმნა, სადაც ყველა ქართული პოლიტიკური ორ-განიზაციები იქნებოდა წარმოდგენილი. ამიტომ მოვითხოვდით კატეგორიულად საბჭოს დაარსების დროს მისი ყრილობის გადა-დებას, და ჩვენი წინადადებით იყო მიღებული კომიტეტის და საბჭოს მხოლოდ ექვსი კვირით არჩევა.

რვა თვის განმავლობაში კომიტეტში ჩვენი მუშაობის შედე-გი ის იყო, რომ არც ერთი ჩვენი მოთხოვნილება არ იქნება დაკ-მაყოფილებული და აღსრულებული.

ჩვენ და ქ.ე.ს. კომიტეტის ხაზის სრული სხვა და სხვაობა საბოლოოდ გამოაშკარავდა ჩვენთვის I8 ივნისის შტარენბურგის კონფერენციის დროს. ამ დღითგან ცხადი შეიქმნა, რომ კომი-ტეტი თავის ხაზს არ შეცვლიდა და უკვე არავითარი მიზანი არ ჰქონდა იქ ჩვენს დარჩენას. მაგრამ თუ საბჭოდან გამოვედით მის ყრილობამდე, ეს იმიტომ, რომ არ გვექონდა გარანტია კომი-ტეტი შესძლებდა მოკლე ხანში ყრილობის მოწვევას (ეს იყო ივნისში), ხოლო იგი საბჭოს სახელით მოქმედებდა და ჩვენ არ გვინდოდა პასუხისმგებლობა გაგვეზიარებინა იმ საქმიანობისა, რომელიც ჩვენ აღარ გვწამდა და სწორედ არ მიგვაჩნდა“ [24].

ამდენად, სავსებით ნათელია, რომ დარაზმულობა „თეთრი გიორგი“ მუდამ უკომპრომისოდ იცავდა ქართულ ეროვნულ იდეას და ქართველი ერის ინტერესებს.

ორგანიზაციამ იარსება 1954 წლამდე.

1954 წლის აპრილში მიუნხენში შედგა „თეთრი გიორგი“-ს სამართალმემკვიდრე ორგანიზაციის, - „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ დამფუძნებელი შეკრება. მისი დამფუძნებლები იყვნენ გენერალი შალვა მაღლაკელიძე და მისი ვაჟი გაიოზი [25].

მეტად საყურადღებოა განახლებული დარაზმულობის მონოდება, რომელშიც ვკითხულობთ:

„მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წლებში გერმანიაში და სხვა თავისუფალ სახელმწიფოებში დაარსდნენ მხედართა ორგანიზაციები, ქართველ მხედართა გაერთიანებაც ფრიად სასურველი შეიქმნა. ამ მიზნით საინფორმაციო ჯგუფმა შეიმუშავა წესდება და თავის კრებაზე 26 იანვარს 1954 წლისა ის განიხილა, მიიღო და დასამტკიცებლად წარადგინა.

სახელწოდება გაერთიანებისა:

„ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“

წესდების § 4 ასე განმარტავს, სხვათა შორის, ამ დარაზმულობის დანიშნულებას:

„ქართველ მხედართა დარაზმულობა“ არის პარტიების გარეშე მყოფი ორგანიზაცია და მის წევრად შეუძლია იყოს თითოეული ქართველი მხედარი, რომელსაც მოქმედებით ომში თუ მშვიდობიანობის დროს დაუმტკიცებია ღირსეული მამულიშვილობა, და აგრეთვე ისიც, ვინც იზიარებს პრინციპებს და ტრადიციებს ქართული მხედრობისას.“

წევრთათვის მიღებულია საგანგებო ნიშანი: ფარი ქართული ეროვნული ფერებით, მეორე დიდი ომის დროს ქართველ ლეგიონერებისათვის დანესებული; ამ ფარს კი ამშვენებს შურდული და ხმალი საქართველოს სამეფოს ღერბიდან ამოღებული.

შეთანხმება ძველის და ახალის ამ საგანგებო ნიშანში სიმბოლიურად იძლევა სახელოვანი ჩვენი მხედრული ისტორიის სულის შენახვას და მის გაგრძელების აუცილებლობას.

პირველი საქმიანობა დარაზმულობისა შემდეგში უნდა გამოსახოს:

- 1) აღნუსხოს ქართველი მხედრები უცხოეთში;
- 2) გამოითხოვოს სათანადო დანესებულებებიდან დახმარება დაჭრილ-დასახიჩრებულ ქართველებისათვის;

3) იპოვოს და მოუაროს ომში დაღუპულ ქართველ მხედართა საფლავებს;

4) აღადგინოს ვინაობა დაღუპულთა, მათი განსვენების ადგილები იმ მიზნით, რომ პირველ შესაძლებლობისთანავე ამცნოს მშობლებს და ახლო ოჯახის წევრთ საქართველოში ხვედრი მათთვის დაუვიწყარი ახლობლებისა.

ვაცნობებთ რა ქართველ მხედრებს დარაზმულობის დაარსებას, სიყვარულითა და პატივით მივმართავთ მათ მოწოდებით, ჩაენერონ უკვე არსებულ ორგანიზაციაში, თავზე აიღონ ჩვენთან ერთად კეთილშობილური საქმე და მოვალეობანი; მით ღირსნი გავხდეთ ვიგძნოთ თავი დაახლოებულად ჩვენ საყვარელ სამშობლო საქართველოსთან!“

ამდენად, სავსებით ნათელია, რომ პატრიოტულმა დარაზმულობამ „თეთრი გიორგი“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის ბრძოლაში ბოლშევიკურ-საბჭოური იმპერიის მარწმუნებთან სამშობლოს დასახსნელად. ამ ორგანიზაციის სახით საქმე გვაქვს იმ ბედნიერ გამონაკლისთან, როდესაც ვერავითარმა სიძნელემ, ვერავითარმა ქარტეხილმა (ასეთი კი უხვად იყო „თეთრი გიორგი“-ს არსებობის თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე) მამულიშვილთა ამ დიდებულ საკრებულოს უარი ვერ ათქმევინა ბრძოლაზე, ვერ დააყრევინა ფარ-ხმალი, ვერ გადაახვევინა ერთხელ არჩეული ნარ-ეკლიანი გზიდან! დარაზმულობა მუდამ იყო ერთგული მისი დევიზისა: „საქართველო უწინარეს ყოვლისა!“

სამარადისო დიდება სამშობლოსათვის თავდადებულ თეთრი გიორგელთა ნათელ ხსოვნას!..

ძირითადი დასკვნები

I. მიუხედავად იმისა, რომ დარაზმულობის შექმნისას მის მესვეურთა მიერ განცხადებულ იქნა, რომ იგი წარმოადგენდა ზეპარტიულ პოლიტიკურ გაერთიანებას გადახრების გარეშე, „თეთრი გიორგი“-ს ისტორიამ ცხადჰყო, რომ იგი წარმოადგენდა გამოკვეთილად მემარჯვენე ორგანიზაციას მკვეთრად გამოხატული ზეპარტიული ნიშნებით. თუმცა, მისი კარი ღია იყო იმ სოციალ-დემოკრატებისთვის, რომლებიც მატარებელნი იყვნენ ეროვნული ცნობიერებისა (ასეთები კი ქართველ სოციალ-დემოკრატებში აშკარა უმცირესობას წარმოადგენდნენ).

2. 1924 წლის ნოემბერში პარიზში შექმნილი დარაზმულობა თითქმის 30 წლის მანძილზე წარმოადგენდა ქართული პოლი-

ტიკური ემიგრაციის ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა ერთ-ერთ მთავარ მაკონსოლიდირებელ ორგანიზაციას და ავანგარდს.

3. „თეთრი გიორგი“-ს იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენდა მოწინავე ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა (მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე, გიორგი მაჩაბელი, პეტრე სურგულაძე და სხვანი) თაოსნობით ჯერ კიდევ 1913-1914 წლებში ემიგრაციაში შექმნილი „თავისუფალი საქართველო“-ს ჯგუფისა და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს ეროვნული იდეოლოგია. მიუხედავად ამისა, დარაზმულობა შორს იდგა ყოველგვარი შოვინიზმისა და ეროვნული კარჩაკეტილობისგან. „თეთრი გიორგი“-ს მესვეურნი პრიორიტეტულად მიიჩნევდნენ მჭიდრო ურთიერთობას კავკასიის ავტოქტონ, მოძმე ერებთან.

4. მეორე მსოფლიო ომის წლებში, ფაქტობრივად, დარაზმულობა „თეთრი გიორგი“ წარმართავდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ეროვნული ფრთის საქმიანობას.

5. მიუხედავად მესამე რაიხის ვერმახტის სტრუქტურაში არსებულ „ქართულ ლეგიონთან“, ბერლინში მოქმედ „ქართულ სამოკავშირეო შტაბთან“ და „ქართულ ეროვნულ კომიტეტთან“ მჭიდრო თანამშრომლობისა, არც ლეგიონი, არც ხსენებული ორგანიზაციები და არც „თეთრი გიორგი“ არ ემსახურებოდნენ ნაცისტურ იდეოლოგიას: მათი ერთადერთი და უზენაესი მიზანი გახლდათ საქართველოს დახსნა საბჭოთა იმპერიის მარნუხეზიდან.

6. მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, 1926-1942 წლებში დარაზმულობამ შეძლო საქართველოს ტერიტორიაზე სამი კონსპირაციული ჯგუფის შექმნა და მჭიდრო კონტაქტების დამყარება ქვეყანაში იმხანად მოქმედ სხვა იატაკქვეშა პატრიოტულ ორგანიზაციებთან.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. შ. ბერიძე. მოგონება. 1924-1933 წწ.- გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1933, №№ 69-71.
2. საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“. დამფუძნებელი კრების დეკლარაცია, პარიზი, 1925.
3. ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგი“: დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისთვის. – გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1936, № 98.
4. კ. სალია. „თეთრი გიორგის“ წარმოშობა, მისი მიზანი და ტაკტიკა. – გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1936, № 98.
5. „თეთრი გიორგის“ IV ყრილობა. – გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1936, №№ 97-100.
6. მეთაურის დადგენილებანი. – ჟ. „ქართლოსი“, პარიზი, 1937, № 1.
7. ალ. მანველიშვილი. „თეთრი გიორგი“ (ხელნაწერი. დაცულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში).
8. შ. მალლაკელიძე. მოგონებანი. – ქართველები გერმანიის დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, თბილისი, 1994.
9. გ. გაბლიანი. მეორე მსოფლიო ომი და ქართველები. – ჟ. „ივერია“, პარიზი, 1981, № 11.
10. გ. მაღალაშვილი. ქართული ცენტრი. – ჟ. „ქართველი ერი“, ბერლინი, 1943, № 1-2.
11. კ. სალია („კ. ბოგაშელი“). ყველა ეროვნული ძალები ქართული კომიტეტის ირგვლივ. – ჟ. „ქართველი ერი“, ბერლინი, 1943, № 1-2.
12. მ. წერეთელი. სიტყვა, წარმოთქმული ბერლინში, 26 მაისის დღესასწაულზე.- ჟ. „ქართველი ერი“, ბერლინი, 1943, № 1-2.
13. შ. ამირეჯიბი. წერილები. თომი II (ემიგრაციაში), თბილისი, 1998, გვ. 253-254.
14. ი. კუჭუხიძე. სამაგიდო რვეულიდან. მოგონებათა წიგნი, მიუნხენი, 1985, გვ. 230-240.
15. რ. დაუშვილი. ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები გერმანიაში 1942-44 წლებში. – ჟ. „საისტორიო შტუდიები“, თბილისი, III, 2002, გვ. 153-177.
16. რ. ჩხეიძე. დაწყველილი თაობა (1942 წლის შეთქმულება), თბილისი, 1992.
17. რ. ჩხეიძე. დაწყველილი თაობა (სამანი), თბილისი, 1995.

18. სამანელთა საქმე.- საქართველოს შსს საარქივო სამმართველო, ყოფ. „სუკ“-ის საარქივო ფონდი, საქმე № 421549.
19. რ. ტყავაძე. პასუხი სუკისა და ცეკას არქივებში თავისუფლად მოსიერნე კაცს. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1991 წლის 29 ოქტომბერი.
20. ი. კუკავა. ვინ იყო მუსტაფა შელია?! – გაზ. „თბილისი“, 1990 წლის 10 აგვისტო.
21. ფ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1951, № 9.
22. კ. სალია. „თეთრი გიორგის“ განცხადება ანტიბოლშევიკურ ფრონტში მონაწილეობის შესახებ. – ფ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1952, № 11.
23. ფ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1952, № 11.
24. განმარტება. – ფ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1952, № 13.
25. შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების არქივი (დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში).
26. ბეჟან გიორგაძის ჩვენება (ასლი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში).
27. რ. დაუშვილი. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი, 2007.

Levan Z. Urushadze

On history of the Georgian patriotic political organization “Tetri Giorgi”

Summary

In November, 1924, at the head of the representatives of the Georgian political emigration in Paris the right-wing political organization “Tetri Giorgi” (“White Giorgi”) was established, the initial purpose of which was the amalgamation of the young Georgian patriots for escape Georgia from Bolshevik Russia’s imperial clutches and restoration the independence of Georgia after its occupation-annexation by Russia in February-March 1921. After a while the organization become non youth but general political union of the all anti-socialist forces of the Georgian political emigration.

The 1st name of the organization was “Momavali”. In June, 1925 he was renamed as the organization “Tetri Giorgi”.


“Tetri Giorgi” existed almost 30 years and played a significant part in history of the national-liberation movement of Georgia.

This paper deals with history of “Tetri Giorgi” and it was attempted to division it into periods on the basis of publications of the Georgian emigrant periodicals, of the materials about activity of the distinguished members of “Tetri Giorgi” (General Leo Keresselidze, Professor Mikheil (Mikhako) Tsereteli, General Shalva Maglakelidze, Professor Kalistrate Salia, Dr. Alexander Manvelishvili, Dr. Georg Magalashvili, Professor Victor Nozadze, etc.), and of the documentary materials of the archives of the former KGB (keeping now in the Archival Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia).

It is the first in Georgia monographic type research dedicated specially to history of “Tetri Giorgi”.



გენერალი ლეო კერესელიძე (1880-1944)



პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965)



გაზეთ „თეთრი გიორგი“-ს ქული



ევგენ (გენო) ღვალაძე (1900-1937)



გენერალი შალვა მალაკველიძე (1895-1970)



მარცხნიდან: სიმონიუკო ბერეჟიანი, ვექტორ ნოზაძე, დავით მარჯანიშვილი და შალვა მგელაძე